ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №119

2021 წ. 27 აგვისტო. ქ.თბილისი. თავისუფლების მოედანი №2

13:00 სთ

მოწვეული სტუმრები:

საფინანსო საქალაქო სამსახური-ლევან მიქავა

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე - დავით უთმელიძე.

კომისიის წევრები: ოთარ გრიგოლია ,ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან დარახველიძე, ვაჟა ოთარაშვილი, ვახტანგ შაქარიშვილი, ბორია ფირცხელიანი.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ.

((#11-0121236273 საკრ#15-032123610-03; #11-01212351557 საკრ.#15-032123533-03)

ლევან მიქავას მოხსენებით, ინფტრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურს, შეშელიძის ქუჩის მიმდებარედ დამეწყრილი უბნის საყრდენი კედლების გამაგრების პროექტირება-მშენებლობის ღონისძიებების სამუშაოების ასანაზღაურებლად, მესამე კვარტალში ესაჭიროება, პროგრამის „საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქია“ ასიგნებების გაზრდა 1 615 000 ლარით, ასევე თბილისის მასშტაბით, ორმოული და პერიოდული შეკეთებითი სამუშაოების ასანაზღაურებლად, პროგრამის „გზების მშენებლობა და აღდგენა“- მესამე კვარტლის ასიგნების გაზრდა 500 000 ლარით.

წარმოდგენილია ასევე ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მოთხოვნა, პროგრამის „საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია“ (01 02 05)- მესამე კვარტლის ასიგნების გაზრდა 5 000 000 ლარით. აღნიშნული ესაჭიროებათ M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მარშრუტებზე მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯების, თანამშრომელთა შრომის ანაზრაურების, ასევე სხვა მიმდინარე ვალდებულებების დასაფარად.

გარდა ამისა წარმოდგენილია კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მოთხოვნა, სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად, პროგრამის „ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა“ - მესამე კვარტლის ასიგნების 8 000 ლარით გაზრდის თაობაზე.

მომხრე- 9

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების გადანაწილების შესახებ“,

სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ინფტრასტრუქტურის განვითარების და კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურები ითხოვენ მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების ცვლილებას, სადაც ასევე მოთხოვნილია სარეზერვო ფონდის კვარტალური ცვლილება, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის **სხდომაზე დამსწრე წევრებმა გადაწყვიტეს:**

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტების შესაბამისად **მიეცეს თანხმობა** საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე დავით უთმელიძე